„დროების" რედაქცია—სომხისონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მსურველთ ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроеба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „დროებაზე" ნახევარის წლით ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე ფასი ხუთი მანათი სოფლის მასწავლებელთათვის ოთხი მანათი.

რადგანაც უფლება, აკაკის თხზულების გამოცემისა საკუთრად მე შევიძინე, ამისათვის ვთხოვ ყველას, რომ მისი ნაწერებიდან, რაც კი დღემდე ყოფილა დაბეჭდილი, არაფერი გადაბეჭდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვეპყრობი კანონის ძალით.

(5—3) კარლამ ჭილაძე.

გამოვიდა ცალკე წიგნად
**სამგვარი სიყვარული**
მოთხრობა
აკაკი წერეთლისა
(„დროების" რედაქციის გამოცემა)
ფასი 30 კაპ.
(ვინც ორ ეგზემპლარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)
წიგნი იყიდება ტფილისში გრიგოროვის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. ქუთაისში ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. სხვა ქალაქებშიაც მალე გაიგზავნება. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროებისა» რედაქციაში. (10—2)

## შინაური ქრონიკა.

— ამბობენ, რომ გორის სასოფლო სემინარიის დირექტორი ბ-ნი დ. ს—ოვი პეტერბურგის საქალაქო სასწავლებლების ინსპექტორად გადაჰყავთ, ხოლო მის ადგილზე დანიშნული იქნება ეხლანდელი დირექტორი ხონის სასოფლო სემინარიისა, ბ-ნი ს—ცკი. უკანასკნელი ერთ დროს ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად იყო და ამ თანამდებობაზე სრული თანაგრძნობა დაიმსახურა, როგორც თავის ხელ-ქვეითის სასოფლო სკოლების მასწავლებლებისაგან, ისე ყველა იმ პირთაგანაც, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენის სახალხო სკოლების მდგომარეობისათვის.

რაიცა შეეხება ხონის სასოფლო სემინარიის დირექტორის ადგილს, ეს უკანასკნელი, როგორც ისმის, მიეცემა ეხლანდელ დირექტორს ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლებისა, ბ. დ—კისა და მის ადგილზე კი დაინიშნება სტავროპოლის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ. ს—ეი.

— ჩვენ გვატყობინებენ შემდეგს ამბავს: დიდ ბაზაზხანაში ოთხი მედუქნე ბაზაზები მუდამ დღე უწესოებას სჩადიან: სოფლიდამ შემოსულს გლეხებს უხეშებიან გზაზე, ჩაავლებენ ხელს და მიათრევენ დუქნებისკენ, რომ ან დასცინონ შემოტანილი გასაყიდი ნივთები, ან იმათთან იყიდონ. უფრო შეწუხებაში არიან ამ გაუმაძღარი ბაზაზებისაგან საბრალო მანდილოსნები: აგლეჯენ ტანისამოსს თრევით, სცემენ, თუ ურჩზე დადგებიან და არ შეჰყვებიან დუქანში; ყოველ დღე ჩხუბს და აყალ-მაყალს ახდენენ. კარგი იქნება, რომ, ვისაც ჯერ არს, მიაქციონ ამ ბაზაზების უწესოებას ყურადღება და დაიხსნან საწყალი ხალხი შეურაცხყოფისაგან.

— სიღნაღიდამ გვწერენ, სწორედ ამ გვარსავე ამბავს: დილით სიღნაღის ჩარჩები, ვაჭრები, დაუხვდებიან ხოლმე ანაგის გზიდამ შემომავალს გლეხკაცობას, რომელსაც შემოაქვს ქალაქში ბალ-ბოსტნის ნაწარმოები, აგრეთვე ყველა ნაირი სურსათი გასაყიდად. ჩარჩები სწვდებიან ხელიდამ, ზოგს ძალად ართმევენ, ზოგს ნახევარ ფასად სცინცლავენ; აღარ აძლევენ გზას, რომ ქალაქში შევიდნენ და თავიანთ სურვილისამებრ გაჰყიდონ. ყოველ დღე თუ ერთ ამ შეურაცხყოფაში არიან სოფლიდამ შემოსული გლეხები, მაგრამ პატრონი არ არის, რომ დაიხსნან იგინი ამ მუდამი შეურაცხყოფისაგან.

— ბუშინ-წინ ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ფილოქსერის კომისია სოხუმში ჯერ არ მისულა და რომ იქ ფილოქსერა თან-და-თან მრავლდება. დღეს ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ეს კომისია შემდგარა და ამ თვის გასულს სოხუმისკენ აპირობს გამგზავრებას.

— ბუშინ-წინ ღამ დანიშნული საზოგადო კრებობა დრამატიულ საზოგადოების წევრთა «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» დარბაზში არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა და ამის გამო გადიდო ამ თვის 28-სათვის.

— ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთს ქართულის თეატრის მოყვარულთაგანს განუზრახავს სათეატრო დასის შედგენა და თეატრის საქმეთა წარმოება მომავალ ენკენისთვიდამ და აპირობს ამ აზრით „დრამატიულ საზოგადოებას" მოელაპარაკოს და მასთან დაიჭიროს საქმე.

ამ მოყვარულს უკვე შეუდგენია ცნობილ ქალაქ სათეატრო საქმეთა წარმოებაზე, დასის შედგენაზედ და მოსალოდნელ ხარჯთ-აღრიცხვაზედ.

— სამტრედიიდამ გვატყობინებენ, რომ ამ ოთხი დღის წინად იქაურს რკინის გზის ბუფეტში ლაპარაკი მოსვლიათ თ. აპოლონ მიქელაძეს და ადგილობრივი პოლიციის პრისტავს ბედიევს ძლენტს. უკანასკნელს ბოლოს უმწიკვლოს სიტყვით მიუმართავს პირველისათვის, რომელსაც მაგიერი უპასუხნია. მაშინ ძლენტს სამჯერ ზედი-ზედ უსროლია რევოლვერი და ქვე მოუკლავს თ. მიქელაძე. მკვლელი მაშინათვე დაუჭერიათ.

«დროების» ფელეტონი ივნისის 16-ს

## ორი თვე სოფლად

(პროვინციალური მეთვალყურის შენიშვნები).

მზე საშუადღეოზე იყო გამართული; მისი პირ-და-პირ მაცქერალი სხივები დედა-მიწას სწვავდა და ხრუკავდა; ადამიანის სახეს ჰკბენდა და სჩხვლეტდა ნესტარივით. ნიავი—ეს მასიამოვნებელი, ოფლიანი შუბლის მაგრილებელი, არ საიდამ იძროდა. მხოლოდ ხანდისხან კუდიანი ქარი, გვალვის სტუმარი, საიდამაც უეცრად გაჩნდებოდა, იტაცებდა ჰაერში ფქვილივით გამხდარს მტვერს ჩალაბულათი, მიარბევინებდა ზემოდ ბოძივით და აყენებდა თვალთ-დამყენებელ ბუქს. ყოველივე ჩაჩუმებული და შებნედილი იყო სიცხისგან: კალიები და სხვა-და-სხვა მწერები თვისის შიშინით მიმტკიცებდენ, რომ არც ისინი იყვნენ მოსვენებით, ჩამოეშვათ ფრთები, გაეღოთ პირები და შიშინებდენ. ამითი აცხადებდენ იგინი თავიანთ სამდურავს მზისადმი.

კარგა მანძილი გამოარბინა ჩემმა ლურჯამ; მზემაც გადიხარა. აგერ მოისმა აქეთ-იქიდამ ქორქალი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი «ჰოროველას» ხმა და „ჰოპუნას" გუგუნი. ეს მუშა აშლილა სამხრიდამ და მიეშურება სამუშაოსთვის. ჩაედგა ბუნებას სული; გამოიღვიძა; ნიავი მოხვდა შუბლს; შეიფთხრიალა ტოროლამ აუშანის ბუჩქიდამ და ციბრუტივით დატრიალდა ჰაერში. აიხედა მუშა-გლეხმა, გაიმართა წელში, გამოზომა თვალით დარჩომილი ყანა; მოიმაგრა სათითეები, დაემუქრა ნამგლით და ეტაკა ისეთის გულით, თითქო ერთი შეტევით ბოლოში გავარდებაო. როდესაც ყველა ცას-ქვეშეთ მცხოვრებნი, პირუტყვნი არსებანი, მინაბულ-მონაბულიყვნენ, ჩვენი გლეხი, დაუნდობელი და გაუკითხავი, ცეცხლივით ყანას მოსდებოდა, თითქოს მზეს ეჯიბრებაო, რომ ლეჩაქი დამხურე თავზე, თუ შენ მე ჩამოგრჩე და დაგივარდეო.

მკათათვის სიცხემ ძალა წაიღო. მე, როგორც იყო, მოვატანე გორი-ჯვრის ვიწროებს; სერის მწვანე კალთაზე ცხენს სადავე მივუშვი; მე კი იდაყვდაყრდნობილი გადავიცქირებოდი დაბლა. შემოვავლე რა თვალი მდინარე მტკვარს და მშვენიერს ტინის ხიდის ჰალას, ვიბრუნე გვერდი და მივაპყარ თვალნი ლაჟვარდ ცის კამარას. როგორც მორევში, ჩავიყურჰუმელავე ცის სივრცეში; წარმოვიდგინე ჩემი თავი მზეზე მჯდომარედ, საიდამაც ყელ-მოღერებით გადმოვყურებდი ცოდვიან მსოფლიოს. ფრთა-შესხმულნი ოცნებანი მიშენებდენ ციხე-დარბაზებს, მაძებნინებდენ პირვანდელ მიზეზს, ცათა და ქვეყნის დამაარსებელს, რომლის ძებნაშიც არა ერთმა ფილოსოფოსმა დალია თვისი გაუმაძღარი სული. აი ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ, და მეც კინაღამ გამოვჩიკე ჩემეური პირვანდელი მიზეზი ქმნილებათა, მაგრამ აქ დამიგორდა ატანილი ქვა და გამოვყე უკან. ჩამოველქვეყნად და თვალში გამეჩხირა გორი-ჯვრის მწვეტიანი მთაზედ მოშენებული ცხე ეკლესიით. ამ გვარად ზეცად მაიზენალნი ჩემნი ოცნებანი ფილოსოფიურმა ქვამ ძირს ჩამოაბძანა! გორი-ჯვრის ხილვამ გამოიწვია სახე ყოვლად-ანატრელის თამარ მეფისა; ელვასებრ გამარბედენ ფიქრები; თვალნი მიმოვავლე დიდებულს დროს, ჩვენს ერთად-ერთს ოქროს საუკუნეს. თავისუფალ ადგილს, პირის პირ ბუნებასთან სადაც მე გულში არავინ ჩამომჭვრეტდა, ფიქრებს უცხო ხელი არ მიქოთებდა,—დიაღ თავისუფალ ალაგას თავისუფლად ამოვიქშინე, თამამად ებაასებოდი ჩემს თავს. აბა პაწია მდლოზე ვინ დამიშლიდა აზროვნობას, მსჯელობას. ტვინმესტრობას ცურჯა ხომ ვერ გამიწევდა! წარმოვიგინე: „სადამდინ მზე-ამაღლებული კეთილი, წმიდა, სულით და გულით ბადრი, მადლიანი უნდა ყოფილიყუს „თამარ წყნარი", რომ ასრე ღრმა დარჩა და დარჩება ხალ-

განსვენებულს დარჩენია ახალ-გაზდა, ახლად ჯვარ-დაწერილი ცოლი.

კორესპონდენტის სიტყვით, ადგილობრივი საზოგადოება ერთობ აღელვებულია ამ ბარბაროსულის მკვლელობისაგან და სასტიკად ადევნებს თვალ-ყურს გამოძიებას და საზოგადოდ მთელის ამ საქმის მსვლელობას.

═ გაზ. «კავკაზს» ატყობინებენ, რომ უმანის (კიევის გუბერნიაში) მეურნეობისა და ბაღოსნობის სასწავლებელში არის ორი სახემწიფო სტიპენდია კავკასიელთათვის და რომ დაწვრილებითი ცნობების შეტყობა ამ საგნის თაობაზე შეიძლება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სეკრეტართანა.

═ გაზ. „კასპიის“ ტელეგრაფით ატყობინებენ ლენქორანიდან, რომ თიბათვის 8-ს პულსკის მამასახლისს ჩაფრების დახმარებით დაუჭერია ხუთი ავაზაკი—მუსულმანი; ერთი მათგანი, ემიმულლა, კატორგიდან გამოქცეულია და ეკუთვნოდა თურმე მუტალიბის ბრბოს.

═ «რუსკი კურიერის» სიტყვით, კიევის სამასწავლებლო ოლქში აღმზრდელებს და მასწავლებლებს აეკრძალათ ბავშვების მომზადება იმ სასწავლებლებისთვის, სადაც თვითონ არიან მასწავლებლებლებად.

კარგი იქნება, რომ ამ განკარგულებამ ჩვენ მხარეშიც მოიპოვოს ძალა.

═ მოგვყავს სია საქმეთა, რომელნიც უნდა განიხილოს ქალაქის საბჭომ თიბათვის 18-ს 1884 წ.

1) მოხსენება გამგეობისა თბილისის საქალაქო პოლიციის მოწყობილობის ცვლილების შესახებ და წინადადება ბ. თბილისის გუბერნატორისა თბილისის ცეცხლ-მქრობლის კამანდის შესანახავი ხარჯის მომატებაზე.

2) მოხსენება გამგეობისა სახემწიფო ბაღების ჩაბარების თაობაზე ქალაქის მიერ.

4) მოხსენება გამგეობისა თათრის მეიდნის გადატანის თაობაზე, აგრეთვე სხვა ბაზრების და სავაჭრო მეიდნების მოპოების შესახებ.

5) მოხსენება გამგეობისა საქალაქო ცნობათა ფურცლის ბეჭდვაზე.

6) წინადადება ქალაქის თავისა სამი გამგებელის ამორჩევაზე, რომელთაც უნდა განაგონ საცხენო გადასახადის საქმე ქალაქში.

7) აზრი ხმოს. თამამშოვისა (მ. ივ.) აღმსრულებელი კომისიის დანიშვნაზედ, რომელმაც უნდა განაგოს ვალად დარჩენილის ფულის პატივების საქმე.

═ წელს ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში ჩვიდმეტი კაციდან მხოლოდ თორმეტს მიუღია ატესტატი. მათს რიცხვში ქართველი შვიდია: კ. ბაქრაძე, ექ. ბორგასლიძე, ივ. კაციტაძე, მალ. მუსელიანი, დ. ჭადაგიძე, ნ. ჩიკვაიძე, ნ. ჯაყელი.

---

### აკაკის სიტყვა ქუთაისის ბანკის წრევანდელ კრებაზედ, ივნისის 10-ს წარმოთქმული.

ბატონებო!

ჩვენის ბანკის დაფუძნებიდან აქამომდე ბევრი რამ მომიხსენებია თქვენთვის საზოგადო საქმეების შესახებ და სუყოველთვის ისეთის ყურადღებითა და პატივისცემით ყოფილა მოსმენილი, რომლის ღირსიც არ გხლებივარ ეგებ, მაგრამ უნდა გამოვსტყდე, რომ შეწყნარებით კი ძვირად ყოფილა შეწყნარებული, სხვა-და-სხვა იკლიკანტურობის წყალობით. და თუ ჩემს პირადობაზე საზოგადოს არ ვაძლევდე უპირატესობას, ცოტათი დაჩაგრული თავ-მოყვარეობა ნებას აღარ მომცემდა, რომ კიდევ მომემართა თქვენთვის, მით უფრო, რომ ცხადად ვხედავ — დღესაც შეუწყნარებელი დარჩება საქმით თქვენგან ეს ჩემი ახლანდელი მოხსენება და გულითადი რჩევა. დიაღ, ეს ვიცი, მაგრამ მე მაინც, სინიდისის გასაწმენდელად, რომ გულში ნაკად აღარა ჩამრჩეს-რა, ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, გამხილებთ ცოტა რამეს.—ბატონებო!... მე დღეს თქვენში იმისთანა არავინ მეგულება, რომ უგუნური და გაუგებარი იყოს, იმისთანაც იშვიათად მოიპოება, რომ საზოგადო საქმეს ბოროტად უყურებდეს. პირადად, სათითაოდ ყველანი კარგები ვართ, მაგრამ ერთად, გუნდად კი ცუდის მეტი არა გამოდის-რა ჩვენის ხელიდან. საზოგადო საქმეს ვაფუჭებთ და ჩვენს საპირადო ღირსებებსაც ვიჩაგრავთ უწესო მოქმედებით! მაშ, ყველა თუ სათითაოდ კარგები ვართ, საზოგადო ცუდი საიდანღა წარმოსდგებაო?—ეგება მკითხოთ, და აი რას მოგახსენებთ: საგუნდო მოქმედებას თავის წესი და რიგი აქვს! რამოდენიმე მოსაკრავე, ანუ მომღერალი, რომ ერთად შეჰყაროთ, თვითოეული მათგანი გინდ შესანიშნავი არტისტიც იყოს, თუ კი წესი არ დაიცვეს თავ-თავის დროზედ, თავ-თავის ადგილზედ არ დაიწყეს, ერთმანეთს არ დაუჯერეს, არ მიჰყვენ მეთაურს და ერთად აჰრიალდენ, ისე შეუშლიან ერთმანეთს ხელს, რომ მათი მღერა და ჟღრიალი უსიამოვნო რამ ხმა იქნება.

ჩვენს გუნდსაც ყოველთვის ეს ნაკლულევანება აქვს... საჭირო არის წესი და რიგი, თორემ ხომ ხედავთ, თუ რა გვემართება? დღეს ყველა დარწმუნებულია იმაზე, რასაც ზოგიერთები—და მათ რიცხვში მეც, ერთი უმცროსთაგანი, — გიწინასწარმეტყველებდენ. შარშანწინდელ შეცდომაში შარშან გამოვსტყდით, შარშანდელში—წრეულ, წლევანდელში გაისს გამოვსტყდებით და ამ გვარად... საქმე კი თან-და-თან იხლართება. არა მგონია, რომ ჩვენს მამა-პაპებს ჩვენზედ მეტი ენახოსთ და სცოდნოდესთ, მაგრამ საქმე კი უკეთ მიჰყავდათ: ისინი, ქვეყნისთვის თავ-დასადებად, სასიკვდილოდაც ერთად იყვნენ და ჩვენ კი საკეთილ-დღეოდ და სასიცოცხლოდაც ველარ შევთვისებულვართ.—სათავეში რომ წყალი იმღვრეოდეს, ბოლოში შაბის ჩაყრა ველარ გასწმენდს... ბანკის შესახებ არეულ-დარეულობა მისი წესდების ზოგიერთა მუხლების ბრალია. მიგითითებთ ერთს უმთავრესთაგანზე: რამოდენიმე ხმების შეერთება და ვექილობა ხომ ხედავთ—თუ რა საძაგლობა გამოდგა? უმჯობესი არ არის, რომ ყველას ჰქონდეს ხმა, ვისაც კი ცოტაც რამ შემოუტანია ბანკში? ღარიბისათვის მცირე უფრო გულდასაწვავიც არის, ვიდრე მდიდრისთვის ბევრი. ვისაც ოცი თუმანი შემოუტანია, იმას კი აქვს ხმა და ვისაც ოცი მანეთი, იმას კი არა და ეს რა სამართალია? ეგება, ის ოც-მანეთიანი უფრო გამოსადეგი და სასარგებლო იყოს ბანკისათვის!... მომეტებული ხმა რომ იქნება, მაშინ უფრო მეტი არეულობაც იქნებაო,—მეტყვით და მის მოსასპობლად აი რას გირჩევთ: მივცეთ უფლება, რომ მაზრებიდან ასს ან ორმოც-და-ათ კაცზე თვითო ამორჩეული მათგანვე, მათ მაგიერი, პირი იქნეს. მაშინ, უეჭველია, უფრო რიგიანები იქნებიან კრებაზე.

დღეს ზოგიერთ მაზრიდან აღარავინ აღარ მოდის; ერიდება კრებას: მაინც ხომ არაფერი გაკეთდებაო! და მაშინ კი ვალდებული იქნება, როგორც ამორჩეული, მოვიდეს. მოისპობა ის ქიშპი და უმადურობა, რომელიც დღეს არის ჩვენში ჩამოვარდნილი. ყოველიფერს მეგრელებს ვაბრალებთ, მეგრელები გურულებს ემდურიან, გურულები იმერლებს აღარ ენდობიან და ამ გვარად გვავიწყდება, რომ ყველანი ისე საჭირო ვართ ერთმანეთისათვის, როგორც თითები ხელისათვის: თუ ყველა თითი მრთელი და უნაკლულო არ გვექნება, იმ ხელით ვე-

---

ხის მეხსიერებაში თამარის უკვდავი სახელი და დრო“.

გორი-ჯვრის გამო მე მოძაგონდა შემდეგი ხალხის გარდმოცემა. ერთ ჟამად თამარ მეფე იჯდა გორის-ჯვრის მთაზე ეკლესიასთან. მშოლოურად, მადლიანის თვალით, გადმოჰყურებდა მის წინ საამურად გარდაშლილს შიდა-ქართლსა, დაფენილს სოფლებით, ქალა-მინდვრებით, ვენახებით, რომელნიც შეერთებულად წარმოადგენდენ ერთს დიდს წალკოტს; აღმოსცქეროდა აღელვებულს მტკვარს, რომელიც გორი-ჯვრის ძირში ეაქანებს თვის ზვირთებს. თამარს ხელთ ეპყრა ჭორი და უალერსებდაო. ჭორმა ანაზდად მოჰკრა მსხვერპლს თვალი, გაუსხლტა მადლიანს პატრონს ხელიდამ და მოეტია. ჭორი შუა ჰალში, რომელიც მტკვარს ხელთ ეპირა, დაეხვია ერთ წამოქცეულ ნერგი ტოტზე და თავი ველარ იხსნა. თამარმა ბრძანა, რომ ვინც ჩემს ქორს გამოგვრის, რასაც მთხოვს, მივცემო. მოჩნდება თავ-გადადებული ბიჭი, ჩახტება წყალში, ახსნის ნერგიდამ ქორს. აგერ თავ-მომწონე ბიჭმა მოატანა ნაპირს ქორით ხელში; წარმოიდგინა, რა ეთხოვნა გვირგვინოსანი ბატონისთვის. ბიჭმა იმრუშა გულში თამარზე. თამარი სთხოვს ღმერთს: «უკეთუ თხოვნა მისი იყოს ბოროტ-განზრახული, ცოცხალს ნუ გამოიყვანს». ის თამარის ლოცვით იხრჩობა წყალშიო. ზოგან ასე ამბობენ, რომ თამართან მივიდა და მიართვა ქორი. „ითხოვე, რა გინდა ჩემგან?“ გმირი იმ წამსა სთხოვს მას ცოლ-ქრმობას. თამარი გადახედავს მას დედობრივის თვალით, მაგრამ მრისხანედ; აგრძნობინებს თავხედ გმირს თვის ბოროტ-განზრახულებას. გმირი სირცხვილის ალით იწვის და კვდება.

გორის პირის-პირ, ამბობს ვახუშტი, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, მაღალსა გორასა ზედა ნაშენი, სასწაულთ-მომქმედი. თავი წმიდის გიორგისა მდებარებს ჯვარსა შინა. უწოდებენ გორი-ჯვარს; არა იყო მუნ წყალი, მე-94 დედოფალმა რუსუდან მოიტანა ბურეთის მთიდამ. ეს ჯვარი ამ ჟამად აღარ სუფევს გორი-ჯვრის ეკლესიაში. ამილახვრებს გაუტანიათ იგი ს. ოთარშენში, რომელიც მდებარებს გორი-ჯვრიდამ ჩრდილოეთით, მტკვარ გაღმა. ჯვარი უსვენიათ ერთ ფიცრულ ეკლესიაში. ამ ჯვრის დღეობა მოდის წელიწადში ორჯელ: აპრილის 23 და ნოემბრის 10-ს; ხალხი ბევრი მიდის, როგორც დღეობის დროს, ისრე სხვა დროსაც. მგონი, ქართლში ამოდენა მლოცველი, გარდა ობის (გერისთობის) წმიდა გიორგისა, არა სხვა ეკლესიას არა ჰყავს; მაგრამ ეკლესია ღარიბია. არ ებედება მას რიგიანი გულ-შემატკივარი მღვდლები...

ძველი ეკლესია ერთობ პატარაა. ეხლა გალავანში ახალი ეკლესიაა. აქ სისუფთავეა, მაგრამ ქვემო გალავანში კი ისეთი საშინელი უსუფთაობაა, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს.

თვითონ სოფელი გორი-ჯვარი მცირეა; მდებარებს დაბლა ვაკე გორაკაზე, რომელიც გადასცქერის მდ. მტკვარს და რკინის-გზას. ძველად ეს სოფელი უნდა დიდი ყოფილიყო, რადგან გორი-ჯვრის მთის კალთებზე, დაბლობზე, ეკლესიიდამ თითქმის ხუთ-ექვს ვერსის მანძილზე ნანგრევებია, ნასახლარები და ნავენახარები. წყარო, რომელსაც მოიხსენებს ვახუშტი და რომლის გამოყვანასაც აწერს რუსუდანს, დამშრალი იყო, და არ არის დიდი ხანი, რაც ხელ-მეორედ გამოიყვანეს. მამულს გორი-ჯვრისას დაობდენ ტინის-ხიდელი ამილახვრები, მაგრამ ეხლა ზოგი საეკლესიოდ და ზოგიც სახემწიფოდ დარჩა. გორი-ჯვრული კლდე და კირი შენობისათვის გათქმულია.

(შემდეგი იქნება)

ლარას დავიჭერთ! — სხვა რომ არა იყოს რა ეს ორჯერი ამორჩევა მითი მაინც იქნება სასარგებლო, რომ მსესხებლებზე დამფუძნებელი მეტი იქნება ყოველთვის და საშიში აღარა იქნება-და რა; იმედია, რომ ეს სამუდამოდ გასტანს და აღარ წააჰაისტანს. — უმისოდაც სასაცილო მდგომარეობაში ჩავიგდეთ თავი: ვაჭრები იღებენ ჩვენს ფულს 7½% და ჩვენვე გვიბრუნებენ 12%! ჩვენივე დანითა გვჭკვლენ. — ჩვენ'ში ადრე გროშიც არავისა მართებდა და დღეს კი ყველანი დავალიანებულნი ხართ. — ამაზედ ჭკუის კოლოფები ბძანებენ, რომ უამბანკოდაც ავიღებდით ოდესმე ფულსაო და ეს იმასა ჰგავს, რომ ვსთქვათ: ერთხელ ხომ მაინც უნდა მოჰკვდეთ, და ბარემ დღესვე მოვჰკვდეთ და მოვისვენოთო. ეჰ, ამას აღარა გაეწყობა-რა ახლა! კიდევ შეიძლება, რომ გადაურჩეს კაცი როგორმე ამ ხაფანგს, მაგრამ ვაჭრები, ე. ი. მსესხებლები კი საშიშნი არიან და მათის ხელისაგან, ვიმეორებ, მხოლოდ ორჯერი არჩევანი, ე. ი. რომ ასზე ან ორმოცდა-ათზე ერთი იქნეს გამოგზავნილი, დაგვიხსნის. — დასასრულ ერთი რამ კერძოდაც უნდა მოგახსენოთ: ჩვენს ბანკს ერთი კარგი საქმეც მიუძღვის: ეს არის სათავად-აზნაურო სკოლა, სადაც სწავლა მშვენივრად ვრცელდება. — დღეს ამ ჩინებულ საქმეს ბევრნი შესჰყურებენ მოშურნის თვალით და სხვა-და-სხვა ცილებს სწამებენ. ანგარიშმა გვიჩვენა, და ისიც დამტკიცდა რომ ის სასწავლებელი კეთილ-მდგომარეობაში არის. იქაურ მასწავლებლებს შრომა ბევრი აქვსთ და სასყიდელი კი ძალიან მცირე, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავს არ იზოგვენ, რომ საზოგადოს კეთილად ემსახურონ. მაშ ჩვენც ჩვენის მხრით გულადი მადლობა მაინც გამოუცხადოთ, რომ სასწავლებლის მტრებს კბილის კრიჭა ავუკრათ..

## სამართალი.

(თბილისის სამოსამართლო პალატა).

(დასასრული *)

ნაფიცი ვექილი ბ. პოლტარაცკი ამტკიცებდა, რომ მისს კლიენტს თუმცა უკანონოდ ულია ფული ინსტიტუტის კასიდგან, მაგრამ ისევ ინსტიტუტისთვის და წმ. ნინოს სასწავლებლისთვის მოუხმარებია და თავის საკუთარ საჭიროებაზე სრულებით არაფერი არ უხარჯავს. ამის დასამტკიცებლად ბ. პოლტარაცკიმ მრავალი საფუძვლიანი საბუთები მოიყვანა და ბოლოს სთხოვა პალატას, რომ მისი კლიენტი დამნაშავედ იცნოს მარტო მისის უფლების გადაჭარბებაში და ანგარიშის წესების დარღვევაში. შესახებ ინსტიტუტის რჩევის მიერ გამართული დავისა, პოლტარაცკი ამტკიცებდა, რომ ეს დავაც უყურადღებოდ უნდა დასტოვოს პალატამ, რადგანაც ინსტიტუტის ზარალი ვერ არის ნამდვილად დამტკიცებული და რადგანაც ამასთანავე ინსტიტუტის რჩევის სხვა წევრნიც არ არიან მიცემულნი პასუხის-გებაში იმ უწესობათათვის, რომელნიც ინსტიტუტში ხდებოდენ.

ნაფიცი ვექილი ოპოჩინინი ამტკიცებდა, რომ მისს კლიენტს მარმარჩევს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ამ საქმეში და ამისათვის სთხოვდა პალატას სასჯელისაგან სრულს განთავისუფლებას.

ბ. რეიტერი ამტკიცებდა, რომ ის უწესობანი, რომელნიც მისს კლიენტ გასპაროვსა ბრალდებიან, დიდი ხანია არსებობენ ინსტიტუტში და ამისგამო საფუძვლიანი არ იქნება — გასპაროვს ამაში ბრალი რამ დაედვას. ამისათვის სთხოვდა პალატას, რომ გასპაროვი ან სრულიად განთავისუფლებინა სასჯელისაგან, ან თუ შესაძლებელი არ იქნებოდა, ისეთი განაჩენი დაედგინა იმის შესახებ, რომ არ მოსპობოდა მას პენსია, რომელსაც იღებს იგი თვისის «თითქმის ნახევარ საუკუნის სამსახურისთვის».

ბ. ორლოვსკიმ თვისს სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ მისი კლიენტის, დიდებულიძის, ხელის-მოწერას ბილეთების დასაგირავებელ ქაღალდებზე სრულებით არაფერი მნიშვნელობა არა აქვს და საზოგადოდ ისეთი მონაწილობა არაჰქონია მიღებული ამ საქმეში, რომ მით ინსტიტუტს რაიმე ვნება მისცემოდეს. ამისათვის ორლოვსკიც პალატას თვისის კლიენტის სრულს გამართლებასა სთხოვდა.

პალატის გარდაწყვეტილება უკვე უწყიან მკითხველებმა.

## უცხოეთი.

შეერთებული შტატები. მკითხველებს ეცოდინებათ, რომ ბიტომ მოაშორა ამერიკის რესპუბლიკას ერთი წარჩინებული და გამოჩენილი სახელმწიფო კაცი. ეს იყო რესპუბლიკის პრეზიდენტი გარფილდი. ამ გამოჩენილი კაცის სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობას ასრულებდა მისი კანდიდატი არტური. ამ დღეებში ამერიკის შტატებმა ამოირჩიეს პრეზიდენტად ბლენი. იმის ამორჩევის წინად შეერთებული შტატების რესპუბლიკამ დაასახელა ოთხი პირი პრეზიდენტის თანამდებობაზე. ოთხთავეს თვისი საკუთარი მომხრენი ჰყვანდათ და კენჭიც ოთხთავემ იყარეს. ამ თანამდებობაზე ასახელებდენ: 1 ბლენს, 2 გენერალს ლოგანს, 3 ედმუნდს და 4 არტურს. პირველს კენჭის ყრაზე ბლენის მხარეზე იყო 334 ხმა, არტურისკენ 278, ედმუნდისაზე 93, ლოგანისაზე 63. მეორე ამორჩევაზე ბლენმა მიიღო 349 ხმა, არტურმა 276, ედმუნდსმა 85, ლოგანმა 61. მესამედ ბლენმა მიიღო — 375, არტურმა 275, ედმუნდსმა 78, ლოგანმა 60. მეოთხედაც ბლენმა გაიმარჯვა და ერთხმად ამორჩეულ იქმნა პრეზიდენტად.

ბლენი დაიბადა პენსილვანიაში, ვაშინგტონის მაზრაში. ეხლა ის 54 წლისაა. როდესაც განათლება დაასრულა, წავიდა მენის შტატში, სადაც გაზეთების გამოცემა დაიწყო. გაზეთებს სცემდა იმიტომ, რომ მათის შემწეობით გაევრცელებინა თვისი პოლიტიკური აზრები. ზოგიერთა ამერიკელი გაზეთების აზრით, ბლენი პატივის-მოყვარე კაცია, ამასთან ნიჭიერი საზოგადო მომქმედი, ძალიან განვითარებული და მჭერ-მეტყველიც. თუ არ ძალიან განვითარებული დიპლომატი და მჭევრმეტყველი კაცი, მაშ როგორ დაიჭერდა სახელმწიფოში იმისთანა დიდ ადგილებს, რომელნიც მას ეჭირა 25 წლის განმავლობაში და დღეს პრეზიდენტადაც გახდა.

პირველად ბლენმა მიიღო წევრობა მენის კანონ-მდებლობით შტატში და იქიდგან იწყობა მისი პოლიტიკური ასპარეზი. ორი წლის შემდეგ ის იყო ამორჩეული ქვედა პალატის პრეზიდენტად; 1884 წელს ვაშინგტონის კონგრესზე იყო, როგორც წარმომადგენელი თვისის შტატისა. 12 წელიწადი იყო კონგრესის წევრად; ექვსი უკანასკნელი წელიწადი გაატარა სკიპერობაში. შემდეგ ამისა ის იყო ამორჩეული სენატში, სადაც ექვსი წელიწადი მსახურობდა, მას უკან გარფილდმა დანიშნა ის კაბინეტში, სადაც გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობას ასრულებდა.

ბლენის ამორჩევა პრეზიდენტად იქ მყოფმა ხალხმა სიხარულით მიიღო მაგრამ მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავს მას. შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი და მთლად რესპუბლიკელნი არ თანა-უგრძნობენ ბლენის პრეზიდენტად ამორჩევას. რადგანაც ბლენი, ვითარცა პატივის-მოყვარე დიპლომატი, ხშირად ხალხის სურვილს და რესპუბლიკის ინტერესებს ანაცვალებს თავის პიროვნულს წადილებს. მაშ თუ ამისთანა მოწინააღმდეგე ჰყვანდა, როგორც საზოგადოებრივი აზრი რესპუბლიკისა, რად ამოირჩიეს ეს კაცი პრეზიდენტად? როგორც საზოგადოდ გამოაშკარავდა ამორჩევების შემდეგ, ბლენს და ლოგანს ერთმანეთთან ვაჭრული პირობა ჰქონიათ — თუ ბლენს პრეზიდენტად ამოირჩევდენ, ლოგანი ვიცე-პრეზიდენტად უნდა დარჩენილიყო. როგორც იუწყება «ტაიმსის» კორესპონდენტი, ლოგანს მოუწერია ბლენისთვის ამორჩევების წინად თანაგრძნობის ტელეგრამა. როცა ტელეგრამის შინაარსი გაიგეს ლოგანის მომხრეებმა, მაშინათვე ბლენის მხარე დაიჭირეს, რომ ის პრეზიდენტად აერჩიათ. ილინოისიდამ ბლენის მხარე დაიჭირეს ტელეგრამის შემდეგ 40 კაცმა, ინდიანიდგან 30, შემდეგ მისურიდგან, ოგიოდგან და პენსილვანიდგან სულ 544 კაცმა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ხმის უმეტესობით ბლენს ამოირჩევდენ.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივნისის 14-ს.

პარიჟი. ვაჭრობათა მინისტრის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ყველა ექიმები ერთხმად აღიარებენ ავადმყოფობას ტულონში სპორადიულ ხოლერად.

ბერლინი. ბიუჯეტის კომისიის მიერ აღძრულ საგნის თაობაზე მეცის სიმაგრის შესახებ, ბისმარკმა გამოსთქვა რეიხსტაგში აზრი გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთობაზე: „დიდხანს ეგონათ, — სთქვა კანცლერმა, — რომ მოხდება მეორე ომი საფრანგეთთან, მაგრამ მე ეს არ მოვახდინე. აგერ თორმეტი წელიწადია, საფრანგეთი ნდობით გვიცქერის ჩვენ და ჩვენი ურთიერთობრივი დამოკიდებულებანი იმ გვარადვე მეგობრულნი არიან, რა გვარადაც ჩვენსა და სხვა სახელმწიფოთა შორის.

## განცხადებანი

რადგანაც «დრამატიული საზოგადოების» კრებაზედ, რომელიც დანიშნული იყო თიბათვის 14-სათვის, საკმაო წევრნი არ დაესწრნენ, დანიშნულ იქმნა თიბათვის 28-სათვის მეორე კრება, რომელიც კანონიერი იქმნება რამდენი წევრიც უნდა დაესწრეს. კრება იქმნება «წერა-კითხვის საზოგადოების» სადგომში, საღამოს 7 საათზედ.

(3—1)

სომხის სასულიერო სემინარიის (ნერსესიანის) სამზრუნველო რჩევაში

ამა ივნისის 20-ს

საღამოს 8 საათზედ მოხდება

ვაჭრობა

ხელმეორედ ვაჭრობის მოუხდენლად იჯარით გაცემაზედ სახლისა და დუქნებისა, რომელნიც შემოსწირა განსვენებულმა ავეტიქა ფიროევმა და მდებარებენ რუსის ბაზარში, № 6 და 11, პირობების ნახვა შეიძლება სამზრუნველოს კანცელიარიაში ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღეებისა დილის 10 საათიდამ 12 საათამდე.

(3—2)

სამზღვარ გარეთ სპეციალურად ნასწავლი

ექიმი ბენკლევსკი

მიიღებს ავად-მყოფებს (ათაშაგით, გარეგანი მუწუკიან სნეულებით, და

*) იხილე „დროება“ № 128.

ყურის ტკივილით) ყოველ დღე დილით 8 საათიდამ 9 საათამდე და ნაშუადღევს 12—3 საათამდის და ცოტა დროში, ზომიერ ფასად, საუკუნოდ განათავისუფლებს სიფილისიანებს და მუწუკიანებს.

ადრესი ქ. ტფილისი, ბაზრის ქუჩა სალდათის ბაზრის ახლო, თამამშოვის სახლში, № 11. (5—4)

---

ინგლისური რკინის პრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად; ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფაიფური, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფრუნიკი, საწყაოსები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფცხეები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხათანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—22)

---

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოი-

წერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—37)

---

გამოვიდა და იყიდება:

განქიცხული.

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

იყიდება: ტფილისში, «დროების» რედაქციაში და შავერდოვის წიგნების სააგენტოში.

ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.

თელავში. ბ. როსტომაშვილთან.

ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში. (20—16)

---

სამკურნალოში, რომელიც ტფილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 9 საათიდგამ 1 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: არეთინოვი—9 საათიდამ 10 საათამდინ შინაგნეულ ავადმყოფობათა წამლობისათვის, ალიხანოვი და ლისიცევი—10 საათიდგან 11-დე შინაგნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის, ექიმი-ქალი პოტაპოვისა—11 საათიდამ 12-დე დედა-კაცების და ბავშვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; შტემბორსკი—12 საათიდამ 1-მდე ხირურგიული, სიფილისის და ხსეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისთვის.

ამას გარდა: ბორალევიჩი ორშაბათობით—10 საათიდამ 11-მდე შინაგნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის; მინევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 საათიდამ 10-მდე ხირურგიული ავად-მყოფობის წამლობისთვის; რეიხი სამშაბათობით და შაბათობით 10 საათიდამ 11-მდე თვალის ავად-მყოფობის წამლობისთვის; ზაბაევი სამშაბათობით და შაბათობით 11 ½ საათიდამ 12½-ამდე შინაგნეულ და ნერვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; იანკოვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12 საათამდე შინაგნეული ავად-მყოფობის და სიფილისის წამლობისთვის; კრასნოგლიადოვი—ოთხშაბათობით და პარასკევობით 10 საათიდამ 11-მდე შინაგნეული ავად-მყოფობის წამლობისთვის.

კბილის ავად-მყოფობის ექიმი ვოლკზონი ყოველს დროს მიიღებს თავის სახლში ღარიბ ავად-მყოფებს, რომელთაც სამკურნალოდან ბარათი ექნებათ.

---

**შპალიერი** ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული. (30—15)

---

ინგლისის მაღაზიაში,

ო მის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—41)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სნოტები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

PAPIER RIGOLLOT

БУМАГА РИГОЛЛО

ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ

ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ

Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за НАСТОЯЩУЮ БУМАГУ РИГОЛЛО лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.

f. Rigollot

*Продается во всѣхъ аптекахъ.*

ГЛАВНОЕ ДЕПО

24, Avenue Victoria PARIS

Въ Парижѣ.

(32—11)

---

ვაჭრობა სადებავებით

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

**სადებავები** ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

**ლაქი** ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი სადებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვინებლად. (70—12)

---

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 ივნისიდამ 1 ივლისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ახალქალაქის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 2½ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | 4½ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | 2½ |
| ქვავრის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3½ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

ტფილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
ტფილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
ტფილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან ტფილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან ტფილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან ტფილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი ტფილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი ტფილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის ტფილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

---